საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№ 733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 20 აგვისტო
№01-05-04/133 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
Mass Communication/Journalism

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
Faculty of engineering economics, media technologies and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი (Doctor in Masscommunication) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (40 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს **სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს** ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.
მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო ფორუმი მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, და ა.შ.).
პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.
ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.
დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:
https://gtu.ge/Science/doctorantura.php
პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემის საფუძველზე. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.
პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელისა (6 სემესტრი), სასწავლო კომპონენტებს ეთმობა 40 კრედიტი.
პროგრამის სასწავლო კომპონენტიებია: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა - 4 კრედიტი; სწავლების მეთოდები - 6 კრედიტი; სოციალური კვლევის მეთოდები-10 კრედიტი; თემატური სემინარი -10 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი.
პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი - 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა.
დოქტორანტი კვლევითი კომპონენტების მომზადებას იწყებს **მეორე სემესტრიდან: პროექტი/პროსპექტუსი; მესამე სემესტრი**: კოლოკვიუმი - 1; **მეოთხე სემესტრი:** კოლოკვიუმი - 2; **მეხუთე სემესტრი:** კოლოკვიუმი -3; **მეექვსე სემესტრი:**წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება და „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“ დეტალურად იხილეთ სტუ-ის ვებ გვერდზე:
https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
სასწავლო წელი შედგება ორი – საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრისაგან. შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადები დგინდება ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ საფუძველზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე https://gtu.ge/Orders/

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:
ა) მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, კონკურენტუნარიანი პროფესიონალი სპეციალისტის, პედაგოგისა და მკვლევრის მომზადება;
ბ) დოქტორანტისათვის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის თანამედროვე მიმდინარეობების, კონცეფციებისა და ტენდენციების სწავლება.
გ) ინოვაციური ცოდნის დაგროვების სოციოტექნოლოგიების, მეცნიერული კვლევების და სწავლების მეთოდების გათავისება;
დ)დოქტორანტის მიერ კვლევის შედეგების პრაქტიკულ, პედაგოგიურ და მეცნიერულ-კვლევით მოღვაწეობაში შემოქმედებითად გამოყენება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. **აანალიზებს** მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს უახლეს მიღწევებს, რაც იძლევა თანამედროვე კომუნიკოლოგიაში არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის მიმართულებით მულტიდისციპლინურ (ინტერდიციპლინურ) კონტექსტში, რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე;
2. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს განახლებული ცოდნის ფარგლებში **ახდენს** არსებული ცოდნის გააზრებას და მისი გადაფასების საჭიროებას.
3. კომუნიკოლოგიის სფეროს ცოდნას **იყენებს** მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის პრობლემების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის, ახლებური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომებისათვის.
4. **შეუძლია** მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა.
5. **პროგნოზირებს** მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარებას; მზაობას სწავლისა და მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში ჩართულობისათვის.
6. სწავლებას **წარმართავს** დამოუკიდებლად სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიებით, ინოვაციური ცოდნის მიცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებებით, პრობლემებისა და საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტის ჩართულობა/მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათი შეფასების რელევანტური მეთოდებითა და კრიტერიუმებით.
7. **აღიარებს** მასობრივი კომუნიკაცია /ჟურნალისტიკის, როგორც თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი კაპიტალით - ინფორმაციით - უზრუნველყოფის ცოდნის დარგის, ღირებულებებს, მათი დამკვიდრების გზებს; პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის ნორმებსა და პრინციპებს.
8. შემოქმედებითად და დასაბუთებულად **წარმოაჩენს** მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში არსებულ ტრადიციულ ცოდნაზე დამყარებულ ახალ ხედვებს, კონცეფციებსა და სტრატეგიებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☐ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული
☒ სამეცნიერო-თემატური სემინარი ☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ კონსულტაცია
☒ კვლევითი კომპონენტი ☒ დისერტაციის გაფორმება ☒ დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რაც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები;

დემონსტრირება;

ინდუქცია;

დედუქცია;

ანალიზი;

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;

წერითი მუშაობა;

ახსნა-განმარტება ;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL);

გონებრივი იერიში (Brain storming);

სინთეზის;

შემთხვევების შესწავლა (Case study);

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;

ჯგუფური (COLLABORATIVE) მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასაქმების სფერო

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პრესცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები. კვლევითი მუშაობა მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა მცოდნეობის სფეროში პედაგოგიური მოღვაწეობა. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პედაგოგიური მონაწილეობა, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალიტიკის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური კვლევების წარმოება.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსითა და ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავ-სებული ელექტრონული კატალოგით.
დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების შესახებ იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში (CV -ებში).

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 7

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	**4**					
2	სწავლების მეთოდები	არ აქვს	**6**					
3	სოციალური კვლევის მეთოდები	არ აქვს	**10**					
4	თემატური სემინარი	არ აქვს	**10**					
5	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები		**10**				
	კვლევითი კომპონენტი		--					
	სასწავლო კომპონენტი სემესტრში:		**30**	**10**	----			

სასწავლო კომპონენტი სულ:	**40**	-
კვლევითი კომპონენტი	-----	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15			2	4	64
2	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30			2	2	86
3	SOS47812G1-LSK	სოციალური კვლევის მეთოდები	10/250	45	30			2	2	171
4	JOI10612G2-K	თემატური სემინარი	10/250				20	2	3	225
5	SOS47712G1-R	პროფესორის ასისტენტობა	10/250			75			2	173

პროგრამის ხელმძღვანელი თემურ ჯაგოდნიშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
10 მაისი, 2011 წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიების
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

12 აგვისტო, 2021 წელი

ოქმი №65

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი